თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

კონკურსის მეშვეობით საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა
და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შესყიდვის

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2014

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება 3
2. საკონკურსო პირობები 5
3. ტექნიკური დავალება 8
4. დანართი N1, მემორიალური ბიუსტის განთავსების ადგილი 9

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

1. *საკონკურსო განცხადება*

1.1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1.2. კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, მ. კოსტავას ქ. №1-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განსათავსებელი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზის გამოვლენა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4 000 (ოთხი ათასი) ლარს;

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39);

1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, ს/კ 245576826);
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული პაკეტით, ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. პაკეტზე მითითებული უნდა იყოს კონკურსანტის/კონკურსანტების სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2014 წლის 5 მარტს;

1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 31 მარტს, 17^{00} საათზე; დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 31 მარტის 17^{00} სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის №25, მერიის კანცელარია;

1.11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.12. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

2. *საკონკურსო პირობები*

2.1. ***შეფასების კრიტერიუმები:***

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ვიზუალური მხარე: კოეფიციენტი – 0,3;

ბ) არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0,6;

გ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0,1;

დ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

ე) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

2.2. ***საკონკურსო წინადადების ფასი:***

ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (4 000 ლარი), არ განიხილება.

2.3. ***ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ:***

ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურება;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ტექსტის სახით შესაბამისი ფოტოსურათების, ნახაზების, ნახატების და ა. შ. თანდართვით;

გ) არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენ-დერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას, რაც იმავე წესის 24-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს მის დარეგისტრირებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში.

2.4. ***ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:***

2.4.1. ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.4.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,25%-ის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 2,5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2.4.3. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდოს ესკიზის შესაბამისად შედგენილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების სესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრული წესების დაცვით;

2.4.4. მომსახურების ვადა:

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა.

2.5. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის **2.4** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.6. *კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს:*

ა) საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- მემორიალური ბიუსტის ესკიზის პროექტი მასალაში, რასაც თან უნდა დაერთოს წარმოდ- გენილი მასალის ანოტაცია;
- საკონკურსო მასალა ნებისმიერი ზომის ფორმატზე (სასურველია დაცული იქნას A4 ფორმატის ჯერადობა: A3, A2, A1);
- განმარტებითი ბარათი (არაუმეტეს სამი გვერდისა), მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროექტის კონცეფცია;
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, მასშტაბი - 1:500;

- მემორიალური ბიუსტის გეგმა, მასშტაბი - 1:100 ან1:200;
- მემორიალური ბიუსტის მოდელი (მაკეტი ან პერსპექტიული ჩანახატი), მასშტაბი -1:20;
- განშლები, ფოტომონტაჟი ან ჩანახატი;
- ტერიტორიის კეთილმოწყობის (გამწვანება, განათება, მისასვლელი ბილიკი და ა.შ.) კონცეფცია;
- კონკურსანტის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
  - კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
  - საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი;
  - კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
  - ხელმძღვანელის სახელი, გვარი
  - კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.:
  - ელექტრონული მისამართი, E-mail:
  - ბანკის დასახელება
  - ბანკის კოდი
  - ანგარიშსწორების ანგარიში

2.7. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.8. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: ლამზირა ბოლქვაძე, ტელ: (0422) 24 82 94; გია რამიშვილი, ტელ: (0422) 27 26 22; ბაგრატ ხალვაში, ტელ: (0422) 27 26 18; წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მერიის კანცელარია; E mail: tender@batumi.ge.

2. *ტექნიკური დავალება:*

ა) ესკიზური პროექტი უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ღირებულებებს;

ბ) ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზრისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებს;

გ) ესკიზი გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; გრაფიკული მასალების შესრულების მანერა - თავისუფალი;

დ) ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა);

ე) ავტორმა უნდა წარმოადგინოს ესკიზის კომპიუტერული ვერსია, ამობეჭდილი ფერად და შავ-თეთრ პრინტერზე; ყოველ ეგზემპლარზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორისათვის სასურველი მასალა, რომელშიც მას პროექტის განხორციელება წარმოუდგენია.

4. *დანართი №1*

მემორიალური ბიუსტის განთავსების ადგილის ფოტო